# სახელმწიფო რწმუნებულმა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გამართა

23 ივლისი 2024

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა ლევან ხარაბაძემ რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების მერებთან და საკრებულოს თავმჯდომარეებთან მორიგი სამუშაო შეხვედრა გამართა. შეკრებილებმა მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიმდინარეობა განიხილეს, ასევე, იმსჯელეს რეგიონში დაგეგმილ პროექტებსა და ღონისძებების შესახებ. გარდა ამისა, შეხვედრაზე საუბარი შეეხო სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მიმდინარე სამუშაოებსაც, რომელიც მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე მიმდინარეობს.

როგორც შეხვედრისას ლევან ხარაბაძემ აღნიშნა, მუნიციაპტეტების პირველ პირებთან მსგავსი ტიპის სამუშაო შეხვედრები ხელს უწყობს კოორდინირებულ და ეფექტურ მუშაობას.